

თურქეთის დელეგაცია ავსტრიისა და ხორვატიის ინსტიტუტებს ეწვია

2022 წლის 12-დან 18 ივნისამდე, ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების (LAs) ოფიციალური პირების დელეგაცია თურქეთიდან, მონაწილეობდა საზღვრისპირა სასწავლო ვიზიტში, რომელიც ეხებოდა ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს ავსტრიისა და ხორვატიაში.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციისა (ALDA) და გაეროს განვითარების პროგრამა თურქეთის (UNDP Turkey) მიერ ორგანიზებული პროექტის "ადგილობრივი მმართველობის რეფორმა - ფაზა III" (LAR III) ფარგლებში, მესამე სასწავლო ვიზიტმა მონაწილეებს საშუალება მისცა გაეღრმავებინათ ცოდნა ევროკავშირის ზემოთაღნიშნული ორი წევრი სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობების შესახებ; ასევე, ქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ ავსტრიისა და ხორვატიის სამინისტროების, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ვიზიტი ვენიდან დაიწყო. პირველი დღის განმავლობაში მოეწყო დელეგაციის ოფიციალური შეხვედრა ფინანსთა, ხელოვნების, კულტურის სამსახურისა და სპორტის ფედერალურ სამინისტროებთან. მეორე დღეს, გრაცში გამგზავრებამდე დელეგატებს გაუმასპინძლდნენ ქალაქი ვენის ულამაზეს ადგილას.

პროექტის "ადგილობრივი მმართველობის რეფორმა - ფაზა III" (LAR III) ფარგლებში თურქეთის დელეგაცია ავსტრიისა და ხორვატიის ინსტიტუტებს ეწვია

თურქეთის დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა ქალაქ გრაცისა და შტირიის პროვინციის წარმომადგენლებს. შტირიის პროვინციის წარმომადგენლებმა გაუზიარეს სტუმრებს, როგორც საუკეთესო პრაქტიკა ასევე, გამოცდილება შესრულების მენეჯმენტის სფეროში.

უფრო მეტიც, იმისთვის, რომ სტუმრების ვიზიტი პოზიტიურად და შთამბეჭდავად დასრულებულიყო, დასკვნითი შეხვედრები ქალაქ პულაში გაიმართა. ისტრიის ოლქის ევროპული პროგრამებისა და ფონდების რეგიონულმა კოორდინატორმა და ხელმძღვანელმა ასევე, ისტრიის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა მიესალმა პროექტის (LAR III) თურქულ დელეგაციას. მომხსენებლებმა სტუმრებს გაუზიარეს ცოდნა და გააცნეს ინსტრუმენტები მონაწილეობითი ადგილობრივი მმართველობის შესახებ.

ბოლოს, მონაწილეები გაემგზავრნენ ზაგრებში. თურქეთ-ხორვატიას შორის 30-წლიანი თანამშრომლობის გამოფენის ჩვენების დროს ისინი შეხვდნენ იუსტიციის

სამინისტროსა და ადმინისტრაციის დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ქალაქ ზაგრების და თურქეთ-ხორვატიის მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტს, რომლებსაც გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

საერთო ჯამში, ეს იყო სიღრმისეული, ძალიან სასარგებლო და ინტენსიური კვირა ... ამასთანავე დიდი გამოცდილება!